საფარი
SAPARI

2022 წლის
მუშაობის შეჯამება

2022 წელი უმძიმესი გამოდგა როგორც საქართველოსთვის, ასევე - მთელი რეგიონისთვის. ჩვენი მეგობარი უკრაინელების მხარდაჭერისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ირანელების გამხნევების ფონზე, ჩვენ კვლავ განვაგრძობდით მუშაობას ქვეყანაში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა, ფემიციდი, სქესობრივი ძალადობა, სექსუალური შევიწროება, ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმა, დისკრიმინაცია, გენდერული უთანასწორობა - 2022 წელს კვლავ ჩვენი საქმიანობის მთავარი საკითხები იყო.

სარჩევი

ქალთა მიმართ ძალადობა
-1-

სქესობრივი დანაშაული
-3-

ეკონომიკური ძალადობა
-5-

კიბერუსაფრთხოება
-7-

“საფარის” პლატფორმები
8

პანსიონების ბენეფიციარები
-10-

უფლებადამცველები
-12-

“საფარი” კვლავ
“კოალიცია თანასწორობისთვის”
თავმჯდომარე ორგანიზაციაა
-13-

წლიური ბიუჯეტი
-14-

ქალთა მიმართ ძალადობა

საკითხი, რომელზე მუშაობასაც ორგანიზაცია უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს, ქალთა მიმართ ძალადობაა. “საფარის” იურისტები უფასო სამართლებრივ დახმარებას უწევენ ქალებს, რომლებიც ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნი არიან. “საფარი” ინტენსიურად მუშაობს როგორც ადგილობრივ, ასევე - საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე საქმეებზე. პრეცედენტული საქმეები კარგად ააშკარავებს სახელმწიფოს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ რგოლებში არსებულ პრობლემებს და სისტემური ხარვეზების აღმოსაფხვრელად მოქმედების საშუალებას იძლევა.

ერთ-ერთი ასეთია ხანუმ ჯეირანოვას გახმაურებული საქმე. გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში (CEDAW), 2018 წელს “საფარმა” ამ საქმეზე სარჩელი გაგზავნა. 2021 წლის 11 ნოემბრის დასკვნაში, კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა, ჩაეტარებინა სწრაფი, საფუძვლიანი და დამოუკიდებელი გამოძიება ხანუმ ჯეირანოვას მიმართ ჩადენილ ძალადობასა და გარდაცვალებასთან დაკავშირებით და უზრუნველეყო ადეკვატური კომპენსაციის გადახდა ქალის ოჯახისთვის. გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა ჯეირანოვას საქმეში სისტემური ხარვეზები გამოააშკარავა და აღნიშნა, რომ ეს იყო “ღირსების სახელით ჩადენილი ძალადობა”. 2022 წელს, “საფარმა” თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა ხანუმ ჯეირანოვას შვილებისთვის კომპენსაციის მოთხოვნით და სახელმწიფოს ჯამში 100 000 ლარი გადახდა დაეკისრა. ასევე, ქალის სიკვდილიდან 8 წლის შემდეგ, საქმეში ბრალდებული 5 კაცი დააკავეს. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა 2022 წლის სექტემბერში გამოგზავნა საქართველოს მიერ წარდგენილი ანგარიში, ამ საქმეზე კომიტეტის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. ამ ანგარიშზე, 2022 წლის ნოემბერში, “საფარმა” კომიტეტს დამატებითი ინფორმაცია და კრიტიკული მოსაზრებები წარუდგინა.

2022 წელს ჩვენმა იურისტებმა ჯამში 1572, სოციალურმა მუშაკებმა კი 841 კონსულტაცია გასცეს. წარმოებაში სულ 473 საქმე მივიღეთ. აქედან, 300 ოჯახში ძალადობასა და საოჯახო დავებს ეხებოდა, 69 საქმე - სექსუალურ ძალადობას, 29 - ქონებრივ დავებს, 8 - სექსუალურ შევიწროებას, ხოლო კიბერდანაშაულზე 7 საქმის წარმოებაში ჩავერთეთ. 60 შემთხვევაზე კი ადმინისტრაციული დავა დავიწყეთ. 176 დასრულებული საქმიდან, 146-ზე ჩვენთვის სასურველი შედეგი დადგა.



2022 წელს, “საფარის” გუნდი გაიზარდა და ჩვენი მუშაობაც გაფართოვდა. ჩვენი იურისტები, თბილისის გარდა, ახლა უკვე აჭარაში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში მუშაობენ. სულ მალე, ბენეფიციარებს ახალციხეშიც მივიღებთ.

2021 წელს, ორგანიზაციაში სოციალური მუშაობა დაინერგა. 2022 წლიდან, გუნდში უკვე ორი სოციალური მუშაკი გვყავს, რომლებიც სერვისის მიმღებთა ბიოფსიქოსოციალურ შეფასებაზე, საჭიროების შეფასებასა და შესაბამის ინტერვენციაზე მუშაობენ. “საფარის” სოცმუშაკები აქტიურად არიან ჩართულნი ბენეფიციარებისთვის აუცილებელი სოციალური დახმარების აღმოჩენის პროცესში, რაც თავშესაფარში გადაყვანასა და მათთვის სამსახურის, სწავლის თუ სხვადასხვა აუცილებელი საჭიროების მოგვარებას გულისხმობს. საჭიროების მიხედვით, ისინი ისეთ საქმეებში ჩართულან, როგორიცაა ძალადობის მსხვერპლი დედისთვის შვილის დაბრუნება, რომელიც მამის ოჯახში იმყოფებოდა (იურისტთან ერთად), ძალადობის მსხვერპლი დედისთვის შვილის გაშვილების პროცედურებში დახმარება, სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა - როდესაც ბენეფიციარმა არ იცის, კონკრეტულად რა სერვისით ისარგებლოს/არ იცის სერვისების არსებობის შესახებ, მისი თანხლება სოციალური მომსახურების სააგენტოში, მანდატურის სამსახურში, მერიაში ან შესაბამის უწყებაში; ასევე, სოცმუშაკები ბენეფიციარებს მოძალადისგან წამოსვლასა და თავშესაფარში განთავსების პროცედურებში დახმარებას უწევენ.

სქესობრივი დანაშაული

სქესობრივ დანაშაულებზე “საფარი” არაერთი წელია, მუშაობს. მას შემდეგ, რაც წინა წლებში აქტიურად ვლობირებდით სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული კანონის შეცვლის მოთხოვნას, ეს პრობლემა დღეისთვის გადაჭრილია. ამჟამად, ჩართულნი ვართ სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებული კანონის შეცვლის მოთხოვნის პროცესში, რადგან ზემოთხსენებულ კანონს დიდი ხარვეზები აქვს. კანონის ამ ნაკლოვანების გამო, თითქმის შეუძლებელი ხდება დამნაშავისთვის სათანადო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება; ჩვენთან სექსუალური ძალადობის დანაშაულების ამჟამად არსებული საკანონმდებლო დეფინიცია, ამ დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო განხილვის ეტაპებზე, არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამ მიმართულებით, 2022 წელს შევიმუშავეთ გაუპატიურებასა და სხვა სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებული კანონპროექტი, რომელშიც მთავარი ადგილი უკავია სქესობრივი კავშირისას თანხმობის აუცილებლობას, მისი არარსებობა კი კვალიფიცირდება გაუპატიურებად.

2022 წელს, სქესობრივ დანაშაულებზე, “საფარმა” ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამი საჩივარი წარადგინა.

ამ საკითხზე ინფორმაციის ფართო საზოგადოებაში გაჟღერებისა და სქესობრივი განათლების მნიშვნელობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სოციალურ ქსელებში ჩავუშვით შემდეგი კამპანიები: “დაიცავი შენი შვილი”; “დაიცავი ცოდნით”; “ჯერ მკითხე”; “ჩემი სხეულია, ჩემი არჩევანია!”. საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა პედოფილიის წინააღმდეგ მიმართული ფეისბუკ კამპანიაც “დამიცავი, პატარა ვარ”, რომელიც მშობლების ინფორმირებულობას ისახავს მიზნად, ბავშვის სქესობრივი ძალადობისგან დაცვასთან დაკავშირებით.

#დაიცავიშენიშვილი

#დაიცავიცოდნით

#ჯერმკითხე

#ჩემისხეულიაჩემისაქმეა

ჩემი სხეულია, ჩემი არჩევანია!

დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე (მსგავსი ტიპის დანაშაულის მსხვერპლთა უდიდესი ნაწილი უარს ამბობს ჩივილზე და საქმის გახმაურებაზე), ქვეყანაში არ გვაქვს სქესობრივი დანაშაულების სურათის ამსახველი სტატისტიკა. თუმცა, "საფარის" მიერ წარმოებულ საქმეებსა და მედიაკამპანიების გამოხმაურებებზე დაყრდნობით, შეიძლება იმის თქმა, რომ სქესობრივი დანაშაულები ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია (ბავშვებზე, არასრულწლოვნებზე სქესობრივი ძალადობა, ქორწინებაში გაუპატიურება, ე. წ. სპაიკინგი - ე. წ. „პაემანზე გაუპატიურების ნარკოტიკების" მეშვეობით ძალადობა და სხვ.) "საფარი" მუდმივად მუშაობს ინფორმაციის გავრცელებაზე, მსგავსი ტიპის ძალადობის თავიდან აცილების მიზნით. ეს მუშაობა მოიცავს საინფორმაციო კამპანიებს, შესაბამისი ლიტერატურის შექმნასა და ხელმისაწვდომობაზე ზრუნვას, სხვადასხვა აუდიტორიასთან შეხვედრებსა და ტრეინინგებს. 2022-ში, სქესობრივი განათლების მნიშვნელობაზე სასაუბროდ შევხვდით 150-მდე მშობელს, ქვეყნის ყველა რეგიონში.

საანგარიშო პერიოდში, სქესობრივი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის კუთხით, "საფარმა" პროკურორების, გამომძიებლებისა და იურისტების გადამზადებაზეც იმუშავა. ტრეინინგების მიმდინარეობისას, სასწავლო მასალად ვიყენებდით "საფარის" მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს - "საერთაშორისო პრეცედენტული გადაწყვეტილებები გაუპატიურების დანაშაულზე", რომელიც კონკრეტული პრეცედენტული საქმეების მაგალითზე გვიჩვენებს სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებული ჩვენი კანონმდებლობის ნაკლოვანებებს.

ეკონომიკური ძალადობა

ეკონომიკური ძალადობა, როგორც გენდერული ჩაგვრის ინსტრუმენტი, ქალს ხშირად სრულიად დაუცველ მდგომარეობაში აგდებს. შინ შრომა, მემკვიდრეობის გენდერული ნიშნით გადანაწილება, სახელფასო სხვაობა, "შუშის ჭერი", ალიმენტის გადაუხდელობა - ის პრობლემებია, რომელთან გამკლავებაც ქალების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის გადაულახავი წინაღობაა. ეკონომიკური ძალადობა ისეთი ხილული არაა, როგორც სხვა ტიპის ძალადობა. ამიტომაც, მოძალადეები ჩვენში ქალის დაქვემდებარების ამ ხერხს ხშირად და წარმატებულად მიმართავენ.

ეკონომიკური ძალადობის კუთხით, "საფარში" გვაქვს სტრატეგიული სამართალწარმოება, ქონებრივი დავები, სამართალწარმოება გადაუხდელ ალიმენტზე, პრიორიტეტი ენიჭება მემკვიდრეობით დავებზე მუშაობას.

ალიმენტის გადაუხდელობაზე, როგორც ეკონომიკური ძალადობის ჩვენში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრობლემაზე, 2022 წელს ორგანიზაციამ სამი კვლევა მოამზადა. "ალიმენტის აღსრულება - კულტურული და საკანონმდებლო გამოწვევები საქართველოში" - იმ სოციოკულტურულ თუ საკანონმდებლო ბარიერებს ააშკარავებს, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ქმრებთან/პარტნიორებთან დაშორებული დედები აწყდებიან. როგორც კვლევა გვიჩვენებს, გარდა კანონთან და აღსრულებასთან დაკავშირებული, ხშირად უიმედოდ გადაუჭრელი პრობლემებისა, ქალებს საზოგადოებისგან წამოსული ზეწოლის, შერცხვენისა და მარგინალიზაციის წნეხი დევნის. "ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება - საუკეთესო პრაქტიკის კვლევა" ალიმენტის დაკისრებისა და გადახდის მექანიზმებზე ამახვილებს ყურადღებას, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ლიეტუვისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითებზე დაყრდნობით. "ბავშვის ალიმენტის დანიშვნა და აღსრულება - შედარებით-სამართლებრივი კვლევა" - ალიმენტის დანიშვნასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ მექანიზმებს მიმოიხილავს, ამჯერად - ესტონეთში, ლიეტუვაში, ფინეთში, ინგლისსა და უელსში.

ამ კვლევებზე დაყრდნობით, “საფარმა” შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებები ალიმენტის განსაზღვრა-აღსრულების შესახებ, რადგან, როგორც ზემოთხსენებულ კვლევასა და საფარის მიერ ალიმენტის გადაუხდელობაზე წარმოებულ საქმეებში გამოიკვეთა, საქართველოში კაცები ყველანაირად ცდილობენ ალიმენტის გადახდისთვის თავის არიდებას, რითიც ყოფილ ცოლებზე/პარტნიორებზე მუდმივი ეკონომიკური ზეწოლა-ძალადობის ბერკეტს ინარჩუნებენ.

ეკონომიკურ ძალადობასთან დაკავშირებით, სოციალური ქსელების მეშვეობით, ჩავატარეთ ორი საინფორმაციო კამპანია - “ეკონომიკაSHE” (კამპანია ეკონომიკური ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად) და “ალიმენტის გადაუხდელობა, როგორც ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა”. ასევე, სოციალურ ქსელ ფეისბუკზე გაგრძელდა წინა წელს დაწყებული კამპანია “მეც შვილი ვარ”, რომელიც მემკვიდრეობის გადანაწილებაში გენდერული ფაქტორის უარყოფითი შედეგების გამოაშკარავებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება.

რა არის ალიმენტი

კიბერუსაფრთხოება

გამომდინარე საკომუნიკაციო საშუალებების გაციფრულების შეუქცევადი პროცესიდან, ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებს ახალი საშუალებები შეემატა. ერთ-ერთი ასეთი საშუალება ქალთა მიმართ კიბერძალადობაა - პირადი ცხოვრების ამსახველი კონტენტის უნებართვოდ გასაჯაროება, ამით შანტაჟი, კიბერ ბულინგი გენდერული ნიშნით, კონკრეტული ქალის ფოტოების მისი ნების საწინააღმდეგოდ შეუსაბამო პლატფორმებზე განთავსება და ა. შ. მსგავსი ტიპის დანაშაულების გავრცელებას ის ფაქტორიც უწყობს ხელს, რომ დამნაშავე ძალადობას დისტანციურად, ინტერნეტ კომუნიკაციების მეშვეობით სჩადის, რაც მისთვის კომფორტულ და მსხვერპლისთვის განსაკუთრებით საშიშ გარემოს ქმნის.

ამ ტიპის საქმეებზე მუშაობა "საფარმა" საანგარიშო პერიოდშიც განაგრძო. აგრეთვე, იმისათვის, რომ ქალები კიბერშანტაჟის და ბულინგის მსხვერპლნი არ აღმოჩნდნენ, აუცილებელია ამ საკითხებთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის გავრცელება. ამ მიზნით, ჩავატარეთ ონლაინ საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანიც აუდიტორიისთვის უსაფრთხოების აუცილებელი წესებისა და კიბერთავდასხმების პრევენციის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდება იყო.

კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, ასევე, "საფარმა" ტრეინინგები ჩაატარა სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის. ჩვენმა იურისტებმა ამ თემაზე არაერთი შეხვედრა გამართეს, როგორც სტუდენტებთან, ასევე - ქალებთან.

“საფარის” პლატფორმები

“საფარის” მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ხაზი ცოდნის გაზიარებაა. პატრიარქალური ჩაგვრის სოციოკულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ გენდერულად მგრძნობიარე, ხარისხიანი და გადამოწმებული ინფორმაცია შეუფერხებლად მიდიოდეს საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებამდე. ამ მიზნით შექმნილი ახალგაზრდული პლატფორმები, “ფანჯარა” და “განძი”, ადგილობრივი ახალგაზრდების ქვეყანაში სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცვლილებებსა და გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაში ჩართვას უწყობს ხელს.

“საფარის” აზერბაიჯანულენოვანი პლატფორმა “ფანჯარა” 2019 წლიდან ფუნქციონირებს სოციალურ ქსელ ფეისბუკზე, სომხურენოვანი “განძი” კი - 2021-იდან. ამ პლატფორმების მეშვეობით, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდებისთვის შეიქმნა სივრცე, სადაც სხვადასხვა ბლოგპოსტების, ვლოგების, სტატიების მეშვეობით, გენდერული ჩაგვრის, ადრეული ქორწინების, ქალის წინააღმდეგ მიმართული საზიანო პრაქტიკების, კულტურული წნეხისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ დისკუსიები იმართება. როგორც “ფანჯარას”, ასევე “განძის” ავტორები, დროთა განმავლობაში, სამოქალაქო აქტივისტებად ყალიბდებიან. პლატფორმების ყოველდღიურად განახლებადი კონტენტი მათ აუდიტორიას საშუალებას აძლევს, ჩაერთოს საგანმანათლებლო და სადისკუსიო აქტივობებში. პლატფორმების აქტივისტები, “საფარის” იურისტებთან ერთად, შესაბამის რეგიონებში გენდერული საკითხების შესახებ ინტენსიურ საგანმანათლებლო ტრეინინგებსა და შეხვედრებს ატარებენ. 2022-ში, “ფანჯარას” ქართული ენის გაკვეთილების რუბრიკაც დაემატა, რაც აზერბაიჯანულენოვან ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, კიდევ მეტად გაიღრმავონ სახელმწიფო ენის ცოდნა. საერთო ჯამში, მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, “განძზე” და “ფანჯარაზე” ცალ-ცალკე 200-ზე მეტი მედიაპროდუქტი შეიქმნა.

წელს, “ფანჯარამ” და “განძმა” WECF Georgia-ს კონკურსში “მედია თანასწორობისთვის”, მე-2 ადგილი დაიკავეს, ნომინაციაში “საუკეთესო ციფრული პლატფორმა”.

ქალთა უსაფრთხოების მობილური აპლიკაცია Safe You “საფარმა” 2020 წელს, პანდემიის ჟამს, ჩაუშვა. იგი დღეს უკვე 21 956 მომხმარებელს ითვლის. გარდა უშუალო ფუნქციისა, საგანგაშო თავდასხმის დროს ძალადობის მსხვერპლმა მისი მეშვეობით დახმარება გამოიძახოს, Safe You-ს გააჩნია საინფორმაციო დანიშნულებაც. აპლიკაციის მომხმარებელს შეუძლია, ანონიმურად დაუსვას კითხვები იურისტს, ფსიქოლოგს, ექიმ-რეპროდუქტოლოგს, სოციალურ მუშაკს, და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. 2022 წლიდან, Safe You უკვე უკრაინულ ენაზეც არის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, აპლიკაციას დაემატა ორი ახალი ფორუმი - აივ ინფექციისა და სგგი-ის შესახებ, აგრეთვე, საკონსულტაციო სივრცე უკრაინულენოვანი მომხმარებლებისთვის.

2022-ში მთლიანად განახლდა “საფარის” ვებგვერდიც, რომელსაც ერთი ენა დაემატა და უკვე, ქართულის გარდა, ოთხ ენაზეა ხელმისაწვდომი (ინგლისური, უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული). ეს ფუნქცია ზრდის ჩვენს სერვისებზე იმ ადამიანების წვდომის შესაძლებლობას, რომლებსაც აქამდე სახელმწიფო ენის სათანადოდ ვერფლობა ჩვენთან მომართვიანობაში უშლიდათ ხელს.

ახალგაზრდების ჩართულობა გენდერულად მგრძნობიარე საკითხებზე არსებულ დისკუსიებში “საფარის” ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ახალგაზრდებთან, რომელთა რიცხვიც წლიდან წლამდე იზრდება. "გოგონების ხმა” - “საფარის” მეგობარი ახალგაზრდული ფემინისტური მოძრაობაა, რომელიც 2020 წელს ჩამოყალიბდა. მოძრაობა მუშაობს ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხებზე, ქალების ინფორმირებაზე სექსუალური ძალადობისა და შევიწროვებისაგან თავდაცვის ხერხების შესახებ. წელს, ორგანიზაციამ “გოგონებს ხმის” წევრებს ტრეინინგები ჩაუტარა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე. მოძრაობის მონაწილეობით, ასევე, წელს პირველად აღვნიშნეთ გოგონათა საერთაშორისო დღე, რომელშიც, მათთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ 13-დან 25 წლამდე გოგონები, როგორც თბილისიდან, ასევე - მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან.

პანსიონების ბენეფიციარები

“საფარი” კვლავ განაგრძობს მუშაობას ბავშვთა პანსიონების ბინადართა მხარდასაჭერად. ამ ეტაპზე, ვმუშაობთ ნინოწმინდის, მარტვილისა და ფერიის პანსიონების ამჟამინდელ და ყოფილ ბენეფიციარებთან. მათ კომპლექსური მხარდაჭერა, რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია ესაჭიროებათ. იურიდიულ კონსულტაციებსა და სოცმუშაკის უფასო დახმარებას მათ “საფარი” უწევს, პროექტის პარტნიორი წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT) კი ფსიქოლოგიური კონსულტაციებით უზრუნველყოფს. 50-ამდე მათგანს გაეწია სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის დახმარება. საჭიროების მიხედვით, ვიზრუნეთ ბენეფიციარების სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარებაზეც: პირველადი მოხმარების ნივთებით/ტანსაცმლით ჰუმანიტარულ დახმარებაზე, განათლების მიღებაში ხელშეწყობაზე - პროფესიულ სასწავლებლებში, კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელ კურსებზე რეგისტრირებაზე, სამსახურის მოძიებასა და რეკომენდაციის გაწევაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაზე, სამედიცინო კვლევებსა და დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციაში დახმარებაზე, სახელმწიფოს/მერიის პროგრამებით სარგებლობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.

2 საქმეზე ადგილობრივ სასამართლოში დავიწყეთ სტრატეგიული სამართალწარმოება, დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად მიყენებული მორალური/მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

50-მდე ბენეფიციარს უკვე გავუწიეთ

- სამართლებრივი
- სოციალური
- ფსიქოლოგიური
- სხვა სახის დახმარება

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მოვამზადეთ და გამოვაქვეყნეთ სარეკომენდაციო დოკუმენტი “ბავშვთა პანსიონების ბენეფიციართა სოციალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი რეაბილიტაცია – რეკომენდაციები”. გადატანილ ტრავმულ გამოცდილებებთან გამკლავებაზე მუშაობა, სუსტი სოციალური და კოგნიტური უნარები, სამედიცინო საჭროებები, არასათანადო განათლება, საცხოვრისის, დასაქმების პრობლემა, ბიოლოგიურ ოჯახებთან ურთიერთობა, მოუწესრიგებელი დოკუმენტაცია, მოსწავლეების დასჯის უხეში მეთოდები, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის არქონა - იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რის წინაშეც პანსიონებში მცხოვრები ბავშვები დგანან. გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით, "საფარი" რეკომენდაციებით მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

პროექტის ფარგლებში, 2022 წელს ჩავერთეთ შშმ პირთა დეინტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, “საფარი” კომიტეტის წევრია. შესაბამისი სამუშაო გეგმა წარდგენილია დასამტკიცებლად.

ასევე, “საფარი” “ფსიქიკური ჯანმრთელობის და შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მისი დაქვემდებარებული უწყებების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავების” სამუშაო ჯგუფის წევრია. პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა მხარდაჭერის პოლიტიკის გენდერული მეინსტრიმინგი.

უფლებადამცველები

საქართველოში უფლებადამცველთა საქმიანობა მუდმივად უამრავ რისკთან, სტრესთან და პრობლემასთან იყო დაკავშირებული. გამონაკლისი არც 2022 წელი ყოფილა. წელს, „საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივასთან“ ერთად, შევაფასეთ ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა გამოგვევლინა უფლებადაცვითი საქმიანობის განმსაზღვრელი რეგულაციების ხარვეზები და შეგვემუშავებინა საკანონმდებლო ცვლილებები. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კვლევა "უფლებადამცველთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში". უფლებადამცველებთან დაკავშირებით სპეციალური კანონმდებლობა მიიღება საერთაშორისო ორგანიზაციების წნეხისა და ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ორგანიზაციების ძალისხმევით, რაც განპირობებულია ქვეყანაში უფლებადამცველთა მძიმე მდგომარეობით. კვლევაში მოცემულია რეკომენდაციები პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სასამართლოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საჯარო დაწესებულებების მიმართ, ზემოთხსენებული სტრუქტურების ხელშეწყობით, უფლებადამცველობითი საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობები შესაქმნელად.

საანგარიშო პერიოდში, სოციალური ქსელების მეშვეობით, “საფარმა” ფართო საინფორმაციო კამპანია ჩაუშვა უფლებადამცველების საქმიანობის შესახებ, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების გამახვილება იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელზეც უფლებადამცველები მუშაობენ.



“საფარი” კვლავ “კოალიცია თანასწორობისთვის” თავმჯდომარე ორგანიზაციაა

საანგარიშო პერიოდში, როგორც “კოალიცია თანასწორობისთვის” თავმჯდომარე ორგანიზაცია ზედიზედ მესამე წელს, “საფარი” კვლავ განაგრძობდა თანასწრობის პოლიტიკის გაძლიერების საკითხებზე მუშაობას. 2022 წელს, "კოალიციის თანასწორობისთვის" ფარგლებში, მომზადდა ორი წლიური ანგარიში - კოალიციის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და “დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, 2021 წლის ანგარიში”. ამ ანგარიშების მიხედვით, მომზადდა ორი ვიდეორგოლი.

26 ოქტომბერს, ჩვენს ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარვუდგინეთ ე. წ. Rule 9 კომუნიკაცია თხელიძის ჯგუფის საქმეების აღსრულებასთან დაკავშირებით. კომუნიკაციით, მინისტრთა კომიტეტს მივაწოდეთ ჩვენი შეფასება ამ ჯგუფში შემავალ საქმეებზე საქართველოს ხელისუფლების მიერ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით. წარვადგინეთ შესაბამისი რეკომენდაციებიც.

ასევე 2022-ში, კოალიციის წევრი ორგანიზაციები შევხვდით უცხოელ ექსპერტებს UPR Info-დან. შედეგად, შევიმუშავეთ საქართველოს ბოლო მოკვლევის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების იმპლემენტაციის სამოქმედო სტრატეგია, რაც შემდგომი თვეების განმავლობაში განვახორციელეთ.

კოალიციის ფარგლებში, “საფარმა” ორი საჩივარი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ერთი კი - თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც დისკრიმინაციულ მოპყრობას ეხება.

საანგარიშო პერიოდში, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მომზადდა ანგარიში „სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფისთვის საქართველოში“. პუბლიკაციის "საფარის" მონაწილეობით შექმნილ ნაწილში - "სოციალური პოლიტიკა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად" - ჩვენს ქვეყანაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების წინაშე სოციალური სერვისებისა და მომსახურების მიღებისას გამოვლენილი ხარვეზები და პრობლემებია გაანალიზებული.

“კოალიცია თანასწორობისთვის” ფარგლებში მომზადებულ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა ანტიდისკრიმინაციული და თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერებას, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე და იქაურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე.

წლიური ბიუჯეტი

2022 წელს, “საფარის” ბიუჯეტი 1 335 774 ლარი იყო. ამ თახის 35% დაიხარჯა იურიდიული სერვისების მიწოდებაზე, 32% - საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებზე, 23% - ადმინისტრაციულ საჭიროებებზე (საფოსტო მომსახურება, კომუნალური გადასახადები, საწვავი, საკანცელარიო ინვენტარი, ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, ოფისის ტექნიკური, საკომუნიკაციო და პროგრამული უზრუნველყოფა), 6% - კვლევებზე, 5% კი - მცირე გრანტების გაცემაზე.



საფარი
SAPARI

2022